უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 21 0000366191

16/04/2021

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-88 მუხლის 24-ე და 25-ე პუნქტების, შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (ს./კ: 245427337) მონიტორინგთან დაკავშირებით.
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განესაზღვროს 1 წელი.
3. სიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის №58-ე გადაწყვეტილებით განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან (2 727 ადგილი) ქ. ფოთში მდებარე შენობა-ნაგებობაში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 16 აპრილის N 365884 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით